

რეკომენდაცია

ინგა ჯინჭარაძემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობით ისტორია, დაამთავრა 2015 წელს. მას ვიცნობ 2011 წლიდან როგორც დეკანატის თანამშრომელი და შემდეგ როგორც ლექცია-სემინარების ხელმძღვანელი საგნებში: ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945 წწ, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1945 წლიდან დღემდე და ესპანეთის ისტორია. ჩემს საგნებს ინგა სწავლობდა დიდი ინტერესით და ცოდნის გაღრმავების სურვილით. აქტიურად მონაწილეობდა სასემინარო დისკუსიებში, ამზადებდა პრეზენტაციებს, არჩეული თემები მუდამ აქტუალური და საინტერესო იყო.

ინგა არის მონდომებული, მიზანდასახული და შრომისმოყვარე ადამიანი. მას აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, შეუძლია მოვლენების ადეკვატური აღქმა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება და გონივრული გამოყენება. გამოირჩევა პრობლემისადმი კრიტიკული და ორიგინალური მიდგომით, ექსტრემალურ სიტუაციაში არ უჭირს გადაწყვეტილების მიღება. ფლობს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისთვის აუცილებელ უნარებს. მუშაობის პროცესში შეუძლია დროის რაციონალური ორგანიზება და შრომის მიზნობრივი განაწილება. შეუძლია უცხო გარემოში საკუთარი თავის წარმოჩენა.

ინგას აქვს გამართული და დახვეწილი მეტყველება, არის პრეზენტაბელური ადამიანი. აკურატულობა და პუნქტუალობა მის პიროვნებას დამატებით სძენს დადებით თვისებებს. ის არის კომუნიკაბელური ახალგაზრდა, სტუდენტებში, პროფესორ-მასწავლებლებს და დეკანატის თანამშრომლებში სარგებლობდა კარგი რეპუტაციით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ინგა ჯინჭარაძეს ვახასიათებ დადებითად და მიზანშეწონილად მივიჩნევ რეკომენდაცია გავუწიო მას.

წ. გოგოძე

ზაალ გოგენია

ოსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სასწავლო პროცესის სამსახურის

2015/12/17